ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულებების ელექტრონული რეგისტრაციის ინსტრუქცია

ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების რეგისტრაციისთვის, ხელშეკრულების მხარეებმა www.esco.ge –ს ვებ-გვერდზე უნდა გაიაროთ ავტორიზაცია მომხმარებლის სახელით და პაროლით. იმ შემთხვევაში, თუ არ გახსოვთ საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი, მიმართეთ ესკოს IT სამსახურს (mghvinepadze@esco.ge), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ გახსოვთ მხოლოდ პაროლი, მიყევით პაროლის აღდგენის ინსტრუქციას და ახალი პაროლი გამოგეგზავნებათ ესკო-ს ვებ - გვერდზე დაფიქსირებულ mail - ზე.



ავტორიზაციის გავლის შემდეგ, მომხმარებლის პირად კაბინეტში ძირითადი Menu - დან აირჩიეთ კონტრაქტების პუნქტი.

კონტრაქტების პუნქტის არჩევის შემდეგ გადახვალთ ხელშეკრულებების ძირითად გვერდზე.

ძირითადი გვერდიდან გეძლევათ საშუალება:

1. გააფორმოთ ახალი განაცხადი და ატვირთოთ ახალი ხელშეკრულება (ახალი განაცხადი / ცისფერი ღილაკები)

პირად კაბინეტში გამოგიჩნდებათ ღილაკი/ღილაკები საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს სტატუსის/სტატუსების (საქმიანობის/საქმიანობების) მიხედვით.

რამდენიმე სტატუსის მქონე საწარმოს გამოუჩნდება შესაბამისი ღილაკები. განაცხადის შევსებისას მომხმარებლებმა უნდა აირჩიოთ:

- საბითუმო მიმწოდებლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში;

- გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების სარეგისტრაციოდ წარდგენის შემთხვევაში;

- ზემოთ ჩამოთვლილი ორი შემთხვევის გარდა, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში.

2. ატვირთოთ უკვე გაფორმებული რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულება ელექტრონული სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების მიზნით და შემდგომში მოქმედი



ხელშეკრულებების დამატებითი შეთანხმებების/ცვლილებების გაფორმების და რეგისტრაციის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად (რეგისტრირებული კონტრაქტების ელექტრონული რეგისტრაცია / წითელი ღილაკები).

პირად კაბინეტში გამოგიჩნდებათ ღილაკი/ღილაკები საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს სტატუსის/სტატუსების (საქმიანობის/საქმიანობების) მიხედვით.

რამდენიმე სტატუსის მქონე საწარმოს გამოგიჩნდებათ შესაბამისი ღილაკები. განაცხადის შევსებისას უნდა აირჩიოთ:

საბ./მიმწ. ახალი განაცხადი	- საბითუმო მიმწოდებლის მიერ გაფორმებული და რეგისტრირებული ხელშეკრულების წარდგენის შემთხვევაში;
ახალი PPA განაცხადი	- გარანტირებული შესყიდვის რეგისტრირებული ხელშეკრულების წარდგენის შემთხვევაში;
ახალი განაცხადი	ზემოთ ჩამოთვლილი ორი შემთხვევის გარდა, ყველა სხვა ტიპის რეგისტრირებული ხელშეკრულების წარდგენის შემთხვევაში;

რეგისტრირებული პირდაპირი ხელშეკრულების ელექტრონულად დასადასტურებლად ატვირთვის დროს სავალდებულოა სსე-ს რეგისტრაციის ნომრის მითითება და ესკო-ს რეგისტრაციის ნომრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითება.

ესკო-ში რეგისტრაციის ნომერი	
სსე-ში რეგისტრაციის ნომერი	

პირდაპირი ხელშეკრულების ელექტრონული სახელშეკრულებო განაცხადის შევსება

ახალი განაცხადის შევსების დროს ელექტრონულ განაცხადში უნდა მიუთითოთ პირდაპირ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მონაცემები.

ახალ განაცხადს ავსებს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე. *<u>იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საბითუმო მიმწოდებელი, განაცხადის შევსების ვალდებულება ეკისრება საბითუმო მიმწოდებელს.</u>*

ელექტრონული განაცხადის შევსებისას ყურადღება უნდა მიაქციოთ შენიშვნებს. განაცხადი ივსება თანმიმდევრულად, ზემოდან - ქვემოთ.

განაცხადის პირველ პუნქტში ჩამონათვალიდან უნდა მონიშნოთ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისი სახე/ტიპი. პირველ პუნქტში „განაცხადი“ მოინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი და გამყიდველი ერთი და იგივე იურიდიული პირია და საკუთარ თავთან არის გაფორმებული განაცხადი/ხელშეკრულება.

ელექტროენერგიის წყაროს არჩევისას გენერაციის ლიცენზიატები და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები უნდა აირჩიოთ შესაბამისი კატეგორიიდან და დააჭიროთ „<u>+</u>“ (პლიუსს) ღილაკს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადში არ გექნებათ მე-5 პუნქტის (ელექტროენერგიის სახელშეკრულებო მოცულობების) შევსების საშუალება.



ელექტრონული განაცხადის მე-6 პუნქტში ნებისმიერ შემთხვევაში (მათ შორის ფორმულის არსებობის შემთხვევაშიც) აირჩიეთ შესაბამისი ვალუტა.



ელექტრონული განაცხადის სრულად შევსების შემდეგ, ღილაკით „აირჩიეთ სკანირებული ხელშეკრულება“ *სავალდებულოდ* უნდა ატვირთოთ მხარეებს შორის გაფორმებული და ორმხრივად ხელმოწერილი ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულება.

მომსახურების ხელშეკრულება იტვირთება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აქვს ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა ან/და გატარების მომსახურების ხელშეკრულების წარდგენის ვალდებულება.

განაცხადის ელექტრონული ფორმის შევსების შემდეგ, დააჭირეთ შენახვის ღილაკს.

ელექტრონული განაცხადის შენახვის შემდეგ, მომხმარებელს შევსებული განაცხადის ნახვა შეგიძლიათ კონტრაქტების პუნქტში, მარცხენა მხარეს „რეგისტრაციის მენიუში“, **„წარსადგენ განაცხადებში“.**



შენიშვნა: <u>მომხმარებელს რეგისტრაციის მენიუში გამოეჩნდება პუნქტები საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული შესაბამისი კვალიფიციური საწარმოს სტატუსის/სტატუსების (საქმიანობის/საქმიანობების) მიხედვით.</u> ნიმუშად წარმოდგენილია სრული ვერსია.

„წარსადგენი განაცხადების“ გვერდიდან გაქვთ საშუალება დაათვალიეროთ, მოახდინოთ რედაქტირება ან, საჭიროების შემთხვევაში, წაშალოთ განაცხადი.

განაცხადის ხელმოწერამდე მომხმარებელს შეუძლია ორგანიზაციის შიგნით განაცხადის ვიზირებაზე გაგზავნა. აღნიშნული ფუნქციის გამოყენებისთვის, საჭიროა, სასურველი განაცხადის მონიშვნა, ვიზირების ღილაკზე დაჭერა, „ვიზირებაზე გაგზავნის“ პუნქტის არჩევა და დოკუმენტის კონკრეტულ თანამშრომლებთან ვიზირებისთვის გადაგზავნა. განაცხადის ვიზირება შეუძლიათ ორგანიზაციის მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ კაბინეტი ესკოს ვებ-გვერდზე არსებულ ელექტრონულ პლატფორმაზე. ამავე გვერდიდან, კომპანიის უფლებამოსილ პირს (დირექტორი) შეუძლია განაცხადის ხელმოწერა, რის შემდეგაც, განაცხადს მიენიჭება „ცალმხრივად ხელმოწერილი განაცხადის“

სტატუსი და პირდაპირი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიეცემა განაცხადის ხელმოწერის ან უარყოფის შესაძლებლობა, რის შესახებაც მიიღებენ sms შეტყობინებას.

ელექტრონული განაცხადის ორმხრივად დადასტურების შემდეგ, მხარეების ელექტრონულ კაბინეტში გამოჩნდება მარეგისტრირებელ ორგანოებში სარეგისტრაციოდ გადაგზავნის ღილაკი.



განაცხადის სარეგისტრაციოდ გამოგზავნის შემდეგ შეიცვლება მისი სტატუსი და განაცხადის ნახვა შესაძლებელი იქნება „რეგისტრაციის მენიუში“ „სარეგისტრაციოდ წარდგენილი განაცხადების“ პუნქტიდან.

მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ წარდგენილი განაცხადის სტატუსის შესახებ ინფორმაციის ნახვა მომხმარებლებს გეძლევათ როგორც პირადი კაბინეტიდან, ასევე გეგზავნებათ sms შეტყობინების სახით. პროცესის დასრულების შემდეგ, რეგისტრირებული განაცხადების ნახვა შესაძლებელია „რეგისტრაციის მენიუდან“ „რეგისტრირებული განაცხადების“ პუნქტში.

ხელშეკრულებაში ცვლილების განსახორციელებლად „რეგისტრაციის მენიუდან“ „რეგისტრირებული ხელშეკრულებების“ გვერდიდან, ირჩევთ სასურველ ხელშეკრულებას, რომელსაც მარჯვენა მხარეს აქვს ცვლილებების/დამატების ღილაკი.



აღნიშნულ ღილაკზე დაჭერის შემდეგ გაიხსნება ცვლილების განაცხადის ფორმა, რომელშიც ავტომატურად გადმოდის რეგისტრირებული ხელშეკრულების მონაცემები. მომხმარებელმა, რომელიც ავსებს ცვლილების განაცხადს, უნდა შეცვალოს ავტომატურად გადმოტანილი მხოლოდ ის მონაცემები, რომლის ცვლილებასაც ითვალისწინებს მხარეებს შორის ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის გაფორმებული ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება/ცვლილება, ხოლო დანარჩენი მონაცემები დატოვოთ უცვლელად. ყურადღება მიაქციეთ დამატებითი შეთანხმებით/ცვლილებით გათვალისწინებულ ელექტროენერგიის მიწოდების პერიოდს. პროგრამას, ძირითადი ხელშეკრულებიდან გადმოაქვს მიწოდების სრული პერიოდი, თუ დამატებითი შეთანხმებით ითვალისწინებთ მიწოდების პერიოდად ერთ საანგარიშო თვეს, სახელშეკრულებო განაცხადის მე-4 მუხლშიც უნდა იყოს მითითებული ის კონკრეტული საანგარიშო თვე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ განაცხადის ცვლილების შევსების დროს სახელშეკრულებო განაცხადის მე-5 მუხლში (ელექტროენერგიის ჯამური სახელშეკრულებო რაოდენობა, კვტ.სთ) ასევე ავტომატურად გადმოდის ძირითად ხელშეკრულებაში საანგარიშო თვეების მიხედვით დაფიქსირებული მოცულობები. ბალანსის სწორად დათვლისთვის, თუ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით/ცვლილებით გათვალისწინებული ცვლილება არ ეხება ავტომატურად გადმოტანილ მოცულობას ის უცვლელად უნდა დატოვოთ და არ უნდა წაშალოთ.



აღნიშნული მოცულობები ელექტრონული სახელშეკრულებო განაცხადის შენახვის შემდეგ pdf ფაილში გადმოდის მხოლოდ მიწოდების პერიოდის მიხედვით. დანარჩენი თვეები pdf ფაილში არ გამოჩნდება.

ამასთან, დამატებით შეთანხმებაში/ცვლილებაში დაფიქსირებული მოცულობის სახელშეკრულებო განაცხადში ასახვისთვის, დაემატა ახალი გრაფა ***დამატებითი შეთანხმებით/ცვლილებით გათვალისწინებული მიწოდების პერიოდის ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა***, რომელშიც უნდა **შეავსოთ** ელექტროენერგიის პირდაპირი ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით/ცვლილებით გათვალისწინებული მიწოდების პერიოდის ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობა.



გაითვალისწინეთ, რომ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებით/ცვლილებით გათვალისწინებული დამატებითი შეთანხმების მოქმედების ვადა და ელექტროენერგიის მიწოდების დაწყებისა და დასრულების თარიღები უნდა იყოს ელექტრონულ სახელშეკრულებო განაცხადში დაფიქსირებული ვადების იდენტური.